დახასიათებანი

თქმულნი

თეოფრასტეს მიერ.

გადმოღებულნი და გამოცემული

ინ-კანისაგან.

თფილისი
გრ. ჩარკვიანის სტამბა
1889

თეოფრასტე.

(ბიოგრაფიული მიმოხილვა).

თეოფრასტეს ცხოვრებაზე ბევრი ცნობა არ დარჩენილა. იგი დაიბადა ქალაქს ერესში, ლესბოსის კუნძულზე. მამა მისმა, თუმცა იგი უბრალო ხელოსანი იყო, მაგრამ მაინც თავისი შვილი შვენიერათ აღზარდა. თავისის პირველ მასწავლებლის, ლევკიპის სკოლითგან, თეოფრასტე მოვიდა ათინას, სადაც პლატონს დაემოწაფა. ამის სიკვდილ შემდეგ იგი შეუდგა არისტოტელს, რომელმაც თავისის საყვარელ მოწაფის პატივსაცემლათ შეუცვალა მას ნამდვილი სახელი ტირტამი თეოფრასტედ.

თავისის გენიოს-მასწავლებლის სიკვდილ შემდეგ, თეოფრასტემ გაშალა ათინას თავისი სკოლა, რომელსაც, ამბობენ, ორიათასამდე მაყურებელი ყავდაო. მაგრამ 306-ე წელს იგი იძულებული გახდა დაეტოვებინა სატახტო ქალაქი იმის გამო, რომ სოფოკლემ შეიტანა წინადადება, რომლის ძალით სიკვდილის სასჯელით აღკრძალულ იქმნა ათინაში ფილოსოფიის სწავლება. მაგრამ შემდეგს წელს თეოფრასტე ისევ მობრუნდა და ასწავლიდა სიკვდი-

ლამდე. იგი მოკვდა 286-ე წელს, 85-ის, ზოგნი ამბობენ 107-ის წლისა შობითგან, მხურვალეთ შეყვარებული და პატივცემული თანამედროვეთაგან.

მისთ მრავალ რიცხვედ თხზულებათაგან, რო-

მელთ რაოდენობა ორასს აღემატებოდა, შენახულა მხოლოდ ხუთი და ისინიც დანაალისებულნი. ამათგან ყველაზედ უფრო სახელგანთქმულია, ეს „დახასიათებანი“. ძნელი გამოსაკვლევია, როდის დაუწერია თეოფრასტეს ეს თხზულება. ავტორი იხსენიებს („ცრუპენტელაში“) კასანდრეს ბრძოლას ერთის მხრით და ჰოლისპერხონტისას და „მიფისას“ — მეორესით. აქ, ცხადია, ლაპარაკია იმ შინათბრძოლაზე, რომელიც ასტყდა საბერძნეთს ანტიპატრეს სიკვდილ შემდეგ 319-ე წელს თავისის ცხოვრების უკანასკნელ წამებში იმან დანიშნა რეღენტად 2) მაკედონიაში თავისი ძველი თანაბრძოლი ამხანაგი ჰოლისპერხონტე, რითაც განზე დასტოვა თავისი ანჩხლი და ამპარტავანი ძე კასანდრე. ბრძოლა ამას და პოლისპერხონტ შორის გაიმართა 318-ე წელს. უ კანასკნელის მოკავშირე „მეფედ“, რომელსაც ავტორი სახელს არ არქმევს, კასაუბონი სთვლის ალექსანდრე დიდის უ კნონი ძმას, ჭკუა-თხელ, არრიდეოსს, შემდეგ წელში, ექვს წლეულ მართველობის შემდეგ რო მოკლეს. წინააღმდეგ იმისა კორაიოსი გონებს, რომ ეს „მეფე“ იყოო ალექსანდრესა და დარიოსის ქალიშვილის, ბარსინასძე — გერაკლე,

რომელიც მოკლულიქმნა 309-ე წელს, რაც ძნელი დასაჯერებელია. ასე რომ, თუ დავერწმუნებით კასაუბონის შეხედულობას, — უნდა ვიფიქროთ, რომ „დახასიათებანი“ დაწერილია 318-317-ე წწ. შორის. ყველა ოცდა ათივე „დახასიათებანი" არ შესულან არც ერთს ჩვენამდე მოსულ ხელთნაწერში, რისგამოც ზოგიერთი სწავლულები და სხვათა შორის, ფოსსი რომლის გამოცემის შესაბამათ გადმოღებულია ეს თარგმანი, სთვლიან ამ ნაწარმოებს თეოფრასტეს სხვა დაკარგულის დიდი თხზულების ნაწყვეტად. სხვა სწავლულებს, როგორც მაგ. საუპპეს, განოეს და სხ. «დახასიათებანი» გონიათ გამოკრებილი თეოფრასტეს ჩვენამდე მოუღწეველთ, ფილოსოფიურ თხზულებათაგან. მაგრამ ორთავე შეხედულება ნაკლებ დასაჯერისია, თუმცა, უნდა გავტყდეთ, რომ «დახასიათებანის» ბერძნული ტექსი ძალიან გაფუჭებულია მერმინდელის ჩანაწერებით უვიცებისაგან. «შეძღვნა» მაინც ყალბია და ყალბი. ახალთახალ სწავლულების შრომით ორიგინალის ტექსტის კრიტიკა წინ წაწეულია.

თავდაჭერილო, კაცთმოყვარე, როგორადაც გვიხატავენ მას ძველები, თეოფრასტე, თუმცა იგრე გულკეთილი იყო, მაგრამ მაინც გვიხატავს კაცთა

ვნებებს და მათ განსაკიცხს მხარეებს საოცრის განმსჭვრეტელობით და დაკვირვების განმჭრიახობით.

6

მართალია მისი გმირები არიან ათინლები, მაგრამ იმათ ნიღაბ ქვეშ გვიხატავს კაცებს საერთოთ, კაცებს ეროვნებათა განურჩევლათ. ორიათასი წელიწადი მეტი გვყოფს ჩვენ თეოფრასტეს დრო-ჟამისაგან, მაგრამ მისნი „დახასიათებანი" ბევრს ახალს ჯობია; «სახელი გამოუცვალე, ზღაპარი რჩება იგივე».

თეოფრასტეს წიგნის განსხვავებულობა: არქონა პატიოსან კაცთა დებულებითის ტიპებისა და აგრეთვე ქალების ხასიათების არქონაც. მისმა თხზულებამ შექმნა განსაკუთრებული გვარი ლტერატურულის პროზისა, რომელზედაც გულმოდგინეთ მუშაობდენ შემდეგნი ბერძენთ და რომაელთ ფილოსოფოსები და ეგრეთვე ახალევროპელი მწერლები. იგი გადათარგმნილია ყველა ახალ ენებზე. ლაბრუერის ცნობილი თხზულება არის მხოლოდ თავისუფალი მიბაძვა ბერძენთ ზნეთ მოძღვრის წიგნისადმი. რუსულ ენაზედაც ბევრს უთარგმნია „დახასიათებანი“, მაგრამ ვ. ალექსეევისთანა ნამდვილათ კი-არავის. ქართულათ, რამდენათაც ვიცით, პირველათ ითარგმნება.

ჩვენ, ამ წიგნის ქართულათ მთარგმნელს, შეგვიძლია დავუმატოთ, რომ თარგმნის მიზანი უბრალოა: თუ თითონ გჭირს რომელიმე აქ აღწერილთ ბიწთაგანი, გაისწორე; თუ სხვაში შენიშნო, მოერიდე და, რაც შეგიძლია, სდევნე და კიცხე.

7

აქ ხომ მარტო ბიწიერებაზეა ლაპარაკი და სათნოებაზე არაფერი საჭიროც არაა: ქცევა აქ დახატულის წინააღმდეგ — სათნოებაა და ყმაწვილმა კაცმა ის უნდა შეითვისოს... მეორე სარგებლობა ახალგაზდობისა
ის არის რომ ამ წიგნით იგი ადვილათ
გაეცნობა ბერძენთ კლასიკურ დღითი-დღიურ ცხოვრებას, თუ სხვა წყაროებზე ხელი არ მიუწვდება. ყოველს შემთხვევაში ერთის წიგნაკით მაინც მეტი შეიქმნა ქართულის საკითხავ წიგნების მცირე რიცხვი.

კ. მ. უსწავლელის მკითხველისთვის ზოგიერთ სიტყვებს და აზრებს უზის ციფრები, რომელიც მიგასწავლით წიგნის ბოლოს, სადაც არი მოყვანი-

ლი საჭირო შენიშვნები.

შ ე ძ ღ ვ ნ ა

წინათაც მიკვირდა და თითქმის ახლაც მიკვირს, როცა ვფიქრობ, რომ ელადაში ჰავაც რომ ერთნაირია და ყველა ბერძნების აღზრდაც ერთგვარი, რატომ მათი-ზნეხასიათი ასე სხვადასხვა ფერისაა? ხანდაზმით შემისწავლია მე, ჩემო პოლიკლევ, ადამიანის ბუნება, — ოთხმოც და ცხრამეტს წელიწადს მიცხოვრია ქვეყანაზე, სხვადასხვა ხასიათის პირს შეხვედრივარ, გულმოდგინეთ შემიდარებია კარგი

კაცები ავებთან, — და, ვგონებ, ურიგოდაც არ მიქნია, რომ ორთავეს ცხოვრებითგან ცოტა რამ დავწერე. პირთა დაუსრულებლათ 2) აღვწერ იმათ ხასიათებს, სხვადასხვა გარემოებაში. შთამომავლობას რომ ამისთანა ლიტერატურულ ძეგლებს ვუტოვებთ მე დაჯერებული ვარ, ჩემო პოლიკლევ, რომ ჩვენ მას სარგებლობას შევძენთ, — ამათით ხელმძღვანილნი, ყმაწვილ-კაცები უფრო დაუახლოვდებიან სუფთა ზნეობის კაცებს და მათ მიბაძვენ. ახლა სიტყვა საქმედ ვაქციოთ. შენი საქმეა — ჩაუკვირდე და შენიშნო — ნამდვილია თუ არა ჩემგან დახატული სურათები. პირველს დახასიათებას მე დავარქვი „პირმოთნე“. გაჭიანურებულ წინასიტყვაობათა წერა მე არ მიყვარს. თავდაპირველათ მე მოკლეთ განვსაზღვრავ პირმოთნეობის შინაარსს, მერე დავასურათებ პირმოთნე კაცის საქციელს. ბოლოს, ჩემის მიზნის თანახმათ, ვეცდები, აგრეთვე დაუსახელებლათ დავხატო დანარჩენი ხასიათებიცა.

პირმოთნე.

სიმრუდე და გულუწრფელობა სიტყვასა და საქმეში — ეს არი თავიდათავი პირმოთნეობის გამოსაცნობი ნიშნები.

პირმოთნე მტერთანაც მეგობრულათ მასლაათობს; პირში აქებს მას, ვისაც ზურგს უკან აძაგებს,

გულშემატკივრობას უცხადებს მწუხარებაში; ვისთვისაც მას შეურაცხება მიუყენებია, მასაც ალერსიანათ ესაუბრება. რომ აგინებდე, — ის, მითომ და

აქ არაფერიაო, ისე გულდამშვიდებით ყურს გიგდებს ლანძღვაზე. თქვენ რო მისი ნახვა დაუყოვნებლივ გესაჭიროებოდესთ, — იგი შემოგითვლისთ: ახლა არ მცალია, მერე მობრძანდითო. თქვენ მას ცოტაოდენ ფულს დაესესხეთ, ანუ კიდევ დახმარება რამ თხოვეთ, — მას პასუხი მზათ აქვს: „აი ამ წამს მოვედი, გვიან მომიხდა შინ დაბრუნება, დაქანცული ვარ.“ იგი ფარავს ყოველს თავისს ქცევას და გაჯერებს, რომ «მხოლოდ მოფიქრება მენდაო», — გეუბნება: ვყიდოა. და რიდი ელდის6 :რ ყიდის და გეტყვის" ვყიდიო. გაიგონა და გიჩვენებს, მითომ არ გამიგონიაო; დაინახა და გეტყვის: არ დამინახავსო; სიტყვას მოგცემს — და თავს მოიკატუნებს, მითომ გულზე გადამვარდაო. ერთ საქმეზე დაგიჟინებს: მოვიფიქრებო, მეორეზე მაგისი არა ვიცი რაო. დღეს გესმის მისგან: ამისი ვერა გამიგია რაო, ხვალ ამისთანა აზრი, წინადაც, თავში ბევრჯერ მომსვლიაო, — მე ეს როგორღაც არა მჯერა — მიუწთომელია, სრულებით არა მესმის რა, — ახირებულია, — სხვასაც ვისმე დაეკითხე, ანუ: «შენი სიტყვებითგან ჩანს, ის გამოცვლილა.» მართლაც ის როგორღაც ჩემთან გულახდილათ ვერ არი. ღმერთმა ნუ ქმნას «შენ როგორ არ გერწმუნო, იმას მატყუარობა როგორ

შევწამო, გაფრთხილდი, მასთან დიდი გამჭრიახობა გმართებს». — აი პირმოთნის საყვარელი ფრაზები.

ამ გადაპრანჭული და მუხანათურ სიტყვა-პასუხზე უარესი არა არის რა. გულზედ უფრო გეშინოდეს ამ ვერავის პირმოთნისა.

ლაქუცა (მლიქვნელი).

ლაქუცობა არის რომლისამე პირის წინაშე მონაობის შედეგი. ვაგლახათ ლაქუცა არავის დარჩება.

ვთქოთ, მოგიხდა ლაქუცასთან ერთათ გავლა, — იგი გეტყვის: «ხედავ, როგორ შემოგყურებენ გამვლელ-გამომვლელები? შენისთანა პატივდება, ამ ქალაქში, ჯერ არავის ღირსებია „გუშინ შენ გაქებდენ სტოაში 3). იქ, ოცდაათ კაცზე მეტი ისხდენ. სიტყვა ჩამოვარდა იმაზე, თუ, ვინ არისო საუკეთესო მოქალაქე, — და ყველამ შენით დაიწყეს და შენითვე გაათავეს“... ის თავისის ლაპარაკის დროს შენ ტანისამოსითგან ბეწვს გაცლის, თმაში რომ ქარისაგან ნამცეცი ჩაგივარდეს, — სულს წაგიბერავს და გაღიმებით წაგილაპარაკებს: «ეეე, რო-

გორ გაგჭაღარებია წვერი! მერე რისაგან? — იმისა-
გან, რომ ორი დღეა არ მინახავხარ. მაინც კიდევ
შენ შეადგენ რიგსგარეთობას, — შენის ხნის კა-

ცისათვის, შენი თმა შავია». გააღებს თუ არა ბა-
ტონი სალაპარაკოთ პირს, — იგი გარშემო მყოფთ
აჩუმებს; რომ გაათავებს ლაპარაკს, — მოწიწებით
გაიძახის: „ბუძნულია, ნამდვილია!“ ბატონმა რომ
უხეიროთ გაიხუმროს, — ეს იღრიჭება და პირზე
მანდილს იფარებს, მითომა და სიცილისაგან თავი ვერ
შეუმაგრებია, ქუჩაზე რომ ვინმე შემოხვდეს, — იგი
ალოდინებს, სანამ არ გაივლის მისი მფარველი.
ამისს ყმაწვილებს უყიდის ხოლმე ვაშლებს, მსხ-
ლებს... აძლევს მათ მისდა შესახედავად, ხმამაღლათ
მოუალერსებს მათ, კოცნის და ეუბნება:! „ახ, ჩე-
მო ჭუჭულებო, რა საყვარელი კაცია თქვენი მამა!“
მასთან ერთათ რომ ბაშმაკები იყიდოს, — უქებს
ფეხის მოყვანილობას და სინატიფეს. მფარველი
რო მეგობრის სანახავათ მიდიოდეს, ეს წინდაწინ-
ვე შეირბენს და შეამარაგებს მას; «სტუმრები მო-
გიდიანო». გამობრუნდება და მფარველს შეატყო-
ბინებს: „მე შენი მობრძანება მოვახსენე“. იგი ენა-
წამოგდებული და ტვირთიანი მიეშურება ქალების
საქულბაქოთგან 4); მოუგროვებია თავისის მფარ-
ველისათვის ნუზლი (ხორაგი), ქირაობს მათთვის
მესალამურე ქალებს. სადილობისას იგი პირველი
იწონებს მასპინძლის ღვინოს, იღებს სუფრაზე
ლუკმას და იტყვის: „რა გემრიელია, თითს ჩაიკვ-
ნეტ“!... მიუჩოჩდება თავისს მეპატრონეს და ეტ-
ყვის: „როგორ გიამათ ბატონო“. გამოკითხავს
მას: ხომ არ გცივა, ან თუ რამე მოგაფაროოო, და,

პასუხსაც არ დაუცდის, ისე შეფუთნის. ის მისკენ
გადაიხრება, უჩურჩულებს ყურში. სტუმრებს რომ
ეტიტინებოდეს, პატრონს თვალს მაინც არ აშო-
რებს, თეატრში თუა, იგი გამოგლეჯს ქვეშ მო-
ნას ვისმე ბალიშს და დაუდებს თავისს მფარველს
დასაჯდობზე. მის სახლში რომ შედის, სახლის ნაშე-
ნობას უქებს; მინდორსა ნახავს — საუცხოვოთ შე-
მუშავებულიაო, ბიუსტს 5) — პირწავარდნილი დედა-
ნიაო.

ერთი სიტყვით, მლიქვნელის საქმეა — იცქი-
როს, ილაპარაკოს და ყოველივე ქმნას შენდა სა-
სიამოვნოთ.

ენაჭარტალა.

ენაჭარტლობა არის ხანგრძლივი და ფუჭი ლაპარაკი.

ენაჭარტალა მოგიჯდება გვერთ და გაგიბამს წილადობილას, თუნდაც შენ მასთან ნაცნობობა არ გქონდეს. ჯერ თავისის ცოლის ქებას დაგიწყებს, მერე თავის წინაღამის სიზმარს მოგიყობა, მერე ჩამოგითვლის რიგრიგათ, — რამდენი თავი საჭმელი ქონდა მას სადილათ, შემდეგ უეცრათ წამოაყოლებს: ეხლანდელი კაცები ძველებთან რა შესადარებელიაო; საქულბაქოზე პურის ფასი დავარდა, დედაქალაქი უცხოელებით აივსოო; დიონისობას 6) შემდეგ

ნაოსნოს, გაიხსნებაო ზევსი რო წვიმას არ მოგვაკლებდეს ბალახ-ბულახი გამოცოცხლდებაო; გაისათ ჩემი ხოდაბუნი უნდა შევიმუშავოო; გასჭირდაო ცხოვრება ამ წუთისოფელში; მისტერიის 7) დღეობაზე ყველაზედ უმაღლესი ჟინჟღილი მიქონდაო დამიპპეს. მერე გკითხავს „რამდენი სვეტია ოდეონში 8)?“ ამით ის არ წყნარდება. — „გუშინ პირისღება ამიტყდაო"... „დღეს რა დღე?" შემდეგ ის უსათუოდ შეგატყობინებს, რომ დიდ მისტერიებს ასრულებენ ბოედრომიონში, აპატურიებს კი პიანეპსინში 9) მცირე დიონოსობებს — პასიდეონში... თუ შენც აყევი მას ლაპარაკში — ის შენ ჭირივით აღარ მოგშორდება.

ჭირსაეით ერიდე ამისთანა ადამიანებს, თორემ ციებას შეგყრისთ: ადვილი არ არის ყური უგდო იმას, ვინც ვერ არჩევს შრომას უქმობისაგან.

როყიო.

როყიო, ან ტუტუცი — მართებულობის და ზრდილობის დაუდევარ კაცს ქვია.

მან რომ საფაღარათო მიიღოს, მაშინაც კი წავა შეკრებილებაში. ნიორის სიმყრალე და საამო სურნელება მისთვის სულერთია. ფეხთსაცმელები მოფლაშული აქვს; რახრახით ლაპარაკობს. მეგო-

ბრებს და მეთუნეებს ის არ ენდობა, თავისს გულისპასუხს მსახურს გაანდობს; ყანაში რომ დღიური მუშები ყავდეს, იმათთან წამოროშავს

ყოლიფერს, რაც საერო ყრილობაზე განუხილავსთ. დაჯდომა რომ უნდოდეს, ტანისამოსს მუხლებ ზე-ვით ამოიკეცავს და ზურგს და მკერდს მოიღიავებს ქუჩაზე არა რა გამოიწვევს მისს გაკვირვებას და ყურადღებას; მაგრამ ხარი რომ დაინახოს, ვირი, ან ძროხა, — იგი შეჩერდება პირდაღებული. სალა-როში თუ რამე საწუწკარი ხელთ იგდო, იგი მა-შინვე ჩათოხლავს და ზედ ხარბათ ღვინოს გადა-ყლუჭავს. იგი (ცოლის) ჩუმათ გოგოს გაეთამაშე-ბა და მერე ხელ-წისქვილზე ეხმარება, რომ ფქვი-ლი დააფქვევინოს თავისათვის და თავისი სახლო-ბისათვის. საუზმეზედ იგი ხვადაგსაც საკვებს აძლევს. კარს რომ დაურაკუნონ, — იგი გაუღებს... დაუძა-ხებს ძაღლს და ნაცვლად იმისა, რომ გაუჯავრდეს მყეფარეს, —იგი წაავლებს მას ცხვირში ხელს და ალერსით ეუბნება: «შენ ჩემის ოჯახის გუშაგი ხარ». ფული რომ მიიღოს — იწუნებს: ეს მეტათ გახეხილიაო და გამოაცელევინებს. სახნისი რომ გათხოვოს, კალათი, ცელი, ან ტომარა, — იგი იმათ შუაღამისას მოგთხოვს, თუ ამისთანა უხიაგობამ ამ დროს მოუარა მას უძილობის გამო. ქალაქში რო მიდიოდეს, პირველათ, ვინც უნდა შეხვდეს, იმას კითხავს: როგორ იყიდეაო ცხვრის ტყავი და ან

დამარილებული თებზი და უქმობა, თუ არსა აგო-ნი თვარის გაახლებას 10), ან არა და იქვე დასძენს, რო მოსვლისათანავე წვერი უნდა მოვიპერსოვო და არქიპოსთან გამოვლისას თებზი უნდა ვიყიდო-ვო.“ აბანოში იგი იმღერის; მისი ფეხთსაცმელი ლურსმნებით არის ამოჭედილი.

მელაძუა.

– მელაძუობა არა გულისწმინდითგან გამოსული სურვილი, რომ მიხრა მოხრაში თავი გამოიჩინოს სხვისდა მოსაწონათ და საამურათ.

მელაძუა ერთის ვერსითგან გიკრავს თავს; სხვა სახელს არ გაკადრებს, თუ არ „დიდათ პატივცემუ-ლო“-ს; გარწმუნებს, რომ იგი შენი პატფის მცე-მელია; ორისავე ხელით მაგრათ უქხვისარ; რომ გაივლის შენთან რამდენსამე ნაბიჯს, შამოგეკით-ხება: შენს ხელახლა ნახვას როდის ვეღირსებიო; ათას ნაირ ალერსს გაგიფენს წინ და ისე გამოგე-თხოვება. მედიატორე მსაჯულად თუ არის — იგი ცდილობს მომჩივანსაც აამოს და მოპასუხესაც და თან მიუკერძველის კაცის სახელი დაიმსახუროს.

უცხოელების საზოგადოებაში თუ დაესწრო, იგი
იმათ აზრებს და შეხედულებას უნამდვილესად
თვლის, ვინემ თავისის თანამემამულეებისას. სა-

დილზე რო მიიწვევენ, იგი მასპინძელს თხოვს:
„შენს ყმაწვილებს დამიძახე“. ბავშები შემოდიან,
იგი აცხადებს, რომ ისინი პირწავარდნილი მამა
არიანო; შემოისხამს გარშემო, დაიჯდემს მუხლებ-
ზე, ან გვერდით, ზოგს ულოლიავებს და უხსნის:
„ეს ბურთია, ეს დანა, ეს ესაო, ის ისაო“.

დამჯდარს რომ კალთაში თავი ვინმემ ჩაუდოს
გვერდზე წამოწოლილმა, ეს არ უშლის, თუმც არა-
ფრათ ესიამოვნება.

უზნეურა.

ზნეობითი მახინჯობა არის ის, რომ კაცს
არაფრად მიაჩნია ცუდი ყოფაქცევა და სიტყვა-პა-
სუხი.

წამდაუწუმ ფიცილი, სხვებისაგან არად ჩაგდე-
ბა, მასხრად აგდება და ლანძღვა — უზნეურებისთვის
სრულიადაც არაფერია. იგი არც ერთს ფარდულო-
ბას 11) არ დააკლდება, გულბინძურია, უკან არა-
ფრისთვის დაიხევს. იგი ფხიზელიც რომ იყოს, ისე
დაუვლის ბექნას; უნიღბოდ მონაწილეობს კომი-
კურ ხოროში. მიმოსები (ფოკუსნიკები) აძლევენ
წარმოდგენას. იგი სათვითაოთ ჩამოუვლის მაყუ-
რებლებს და აგროვებს გროშებს. თქვენ აჩვენებთ
თავისის წოდების ნიშანს და უცხადებთ, რომ წარ-
მოდგენის მუქთათ ყურების ნება გაქვსთ, — იგი მა-

ინც გამოგლანძღავს. იმას ხან სამიკიტნო აქვს გა-
ღებული, ხან საროსკიპო, კახპებს ამაჭანკლებს,
ყიდულობს და ყიდის; იღებს იჯარებს; კაცის ღირ-
სების დამადაბლებელი ხელობა მისთვის არ გაგონი-
ლა, ოღონდ გამორჩეს რასმეს. იგი ღაღადისიც (ამ-
ბის შემტყობინებელიც) არის, მზარეულიც, მოთა-
მაშეც და რაც გინდა ის. მას შინ დედა შიმშილით
ყელგადაგდებული უზის. მას ქურდობისათვის აგდე-
ბენ ვირის აბანოში, სადაც უფრო ბევრი დრო გა-
უტარებია, ვინემ თავის სახლში. სამსაჯულოში იგი
ხშირათ გამოდის ბრალმდებლადაც და ბრალდებუ-
ლადაც; პირველ შემთხვევაში იგი სხვისის პირით
მატყობინებს და ფიცით გარწმუნებს, მითომც მის-

თვის შეუძლებელია დაესწროს საქმის გარჩევას; უკანასკნელ შემთხვევაში კი წარმოგიდგება წინ ბოხჩიანათ და ერთი გროვა ბარათებიანათ ხელში. იმას არ ეთაკილება, რომ წინასწარ საქონელი შემოიყუდოს, ხელმეორეთ გაიყდვაზე კი უშველებელს მოგებას ჩამორჩეს და მისცეს ვაჭრებს სესხათ ფული უშველებელი სარგებლით, დღიურით დრაკანში აბოლ 12) ნახევარი... ის დაივლის ხოლმე მეყასბეებს, მეთევზეებს, საწვრიმალო დუქნებს და გამოიტენის ხახას ნაჯილავით. ჩადგება ხოლმე დაბიო ხალხში და აბღეზებს მათს წადილებს, ახელებს მათს ჟინებს, ლაყბობს და ყბედობს, როცა ძალი და ღონე აქვს. ამ დროს ემატებიან ახალახალი მა-

ყურებლები; სხვები მიდიან და ეერ გაუგიათ ორატორის ნათქომი; ზოგს იგი უმეორებს თავისი სიტყვის დასაწყისს, სხვებს ცალცალკე ფრაზებს, და ნარჩენებს კი თავისი სიტყვის ერთერთს ნაწილს. თუ არა დაბიო ხალხის გროვაში, სხვაგან ვერ ბედავს უზნეურა თავის გამოსაჯარებას, რათგან კარგათ ახსოვს თავისი სირეგვნე. საზიზღარნი არიან ეს ორფეხნი! ლანძღვის მეტი ენაზე არა აკერიათ რა ამ ავ-ხელებს და ავყიებს; მათი ლაქლაქი გაისმის ბაზარში, სამიკიტნოში, საყასბოზე და მისთანა ალაგებზე. პატიოსანი და გონიერი კაცი ამისთანა კაცს ერთს კი შეხედავს და არ ახლოს ეკარება.

ყბედი.

ყბედობა არის ლაპარაკში ზომის უცოდინრობა.

ვისთანაც, ან რაზედაც უნდა ლაპარაკობდეს ყბედი, იგი დაგიჟინებს: შენ მიქარავო; თქვენი საუბრის საგანი დაწვრილებით ვიციო; თუ გსურს მოგიყობა კიდეც. გინდა შეესიტყვო, გაგაწყვეტინებს: „შენი სათქმელი კი არ დაგავიწყდესო.“ — «ბარაქალა რო მომაგონე.» „ზოგჯერ სიტყვის გადაკვრაც კაია, თქვენმა მზემ!“ — რა უნდა მეთქო...“ „შენ სწრაფათ მიხვდი საქმე რაში მდგომარეობს.“ – „დიდი ხანია ვუცდი მე: მოგვივა, თუ არა, ორთავეს

ფიქრად ერთი დაიგივე აზრი...“ და ის ათასს ამისთანა შესავალს ისე ბჟირივით დაგიშენს, რომ სულის მოთქმისაც ვეღარ მოასწრებ. ერთს რიმ გაა-

ბრუებს, — ახლა იქ გაექანება, საცა რამდენიმე კაცია შეკრებილი და მათ საქმიან საუბარში რაცღას ჩააკერებს. იგი სკოლებშიაც კი შეყოფს თავს, პალესტრებშიაც 13), ბაეშებს ხელს უშლის სწავლში, გამოელაპარაკება რადე-რუმე მიქარვებზე მასწავლებლებს და პედოტრიტებს 14). თქვენ მოინდომეთ შინ წასვლა, — იგო აგეკვიატებათ და მიგაცილებს შენის ბინის კარებამდე. იგი პასუხებს იძლევა საერო კრებაზე განკითხულ საგნებზე და ზედვე მოაყოლებს დიდისხნის უკვე ცნობილ არისტოფონტეს არქონტობის 15) დროს ორატორების კამათობის ამბავს; მოგიყობა ლიზანდის სარდლობაში სპარტანლებისაგან გადახდილ ომის ამბავს და მის მიერ როდისღაც ხალხისადმი წარმოთქმულ სიტყვებს. იგი ამბებს მოუთხრობს დაბალ ხალხს და თან ლანძღვას მას, რისგამოც ზოგი მსმენელთაგანი გამოედავებიან მას, ზოგი თვლემას იწყებენ, სხვები კი ამ ლაყბობაში მიდიან. ყველას ხელს უშლის: ნაფიც მსაჯულებს — საქმის გარჩევაში, მეზობელს თეატრში — თამაშობის ყურებაში, შეკრებულობაში, სადილზე — ჭამაში. ყბედი თითონ ტყდება, რომ ენის გაჩერება არ შეუძლია, — მას ხახა არ უშრება და თუნდც მროშავი წისქვილი უწოდე, — იგი მაინც არ დაცხრება. ბავშებიც მას საქმეს უჭივრებენ: მას ეძინება. ისინი კი ეხვეწებიან: „მოგვიყევი რიმე ძილად მომავალს“.

ცრუპენტელა.

ცრუპენტელა არის ის, ვისაც ახალ ამბებად გააქვს და გამოაქვს მისგანვე შეთხზული ჭორები სხვადასხვა პირზე და როშავს, რაც ენაზე მოადგება.

ცრუპენტელა რო მეგობარს შეხვდება, — იგი ჯერ სწრაფად მოიჭუხება და, მაშინვე გამხიარულებული კითხავს: «შენ საითკენ?» — ახალი ამბავი ხომ არა იცი რა? — მას პასუხი ჯერ არ გაუთავებია, — ეს ზედვე მიახლის: „ნუ თუ მარლა შენ მეტი არა შეგიტყვია რა?“ გააწყეტინებს და გააბამს იმავე კილოთი. „განა ცუდი ამბებია?“ და ცალი სიტყვის თქმასაც არ დააცლის, ისე დააყრის: «რათა სტყუი?» შენ არაფერი გაგიგონია. — მაშ აბა რა ცხელ-ცხელ ამბებს გეტყვი. ერთიც ვნახოთ, ვისგან მოუკრეფია მას ეს ამბები: ან სალდათისაგან, ან ანტია მესალამურის შვილისაგან, ან პირდაპირ, ბძოლის ველითგან, მოსულ იჯარადარის ლოკონისაგან, — და ამისთანა პირებს ხომ სიცრუეს ვერავინ დასწამებს... იგი მათ იმოწმებს და მოყვება თუ

როგორ პოლისპერხონტმა და მეფემ დაამარცხეს კასანდრე და ცოცხალი ტყვედ წაიყვანეს. — «მერე შენ გჯერა ეგა?» კითხვენ მას. — მთელი ქალაქია და ეს ამბებიო; გიპასუხებს ის; ხმა თანდათან ვრცელდებაო; ბრძოლის შედეგს ყველანი ერთ-ნაირათ ხსნიან; დიდი ორონტრიალიაო: ეს მე შევ-ნიშნე მთავრობის კაცების გაფოთებულ სახეზე. მას როგორც ამბობს, ისიც კი შეუტყვია, რომ იმათ (მთავრობის კაცებს) ბრიტანიაში 16) საიდუმ ლოთ ყავთო ერთი კაცი, რომელიც, ოთხი დღეა, მოსულა მაკედონიითგან და ყოველივე ეს ამბავი მას, მოუტანიაო. — ახლა თქვენ რას იტყვით ამაზე? ჩააფიქრებს ის თავისს ყურის მგდებელს და მორ-თავს ღაღადს ისე, თითქო: მართალიაო: „საწყალო კასანდრევ! რა გაჭივრებაში ჩაეარდი! განა შენ ამ ბედის ცვალებას აიტან? — საბრალო, რა ძლევა მოსილი იყო და რა უძლურია ახლა?!.. ჰო, მარ-თლა, რაც ვსთქვით კი არავისთან წამოგცდეს." თვითან კი მთელი ქალაქი შეირბინა და ყველას ყური გაუჭედა ამავე ამბით...

მიკვირს, რა უნდა შეიძინონ ამ ვაჟბატონებმა ამისთანას ჭორიკანობით? — ისინი არამც თუ ცრუობენ, არამედ ათასს ხიფათშიაც ებმებიან, თავისის სიცრუის გამო. აბანოებში გარშემო ბრბოს შემოისევენ და მათ, ამ დროს, გიმატიებს 17) პარვენ. სტოაში, ენით, ზღვის, ანუ ხმელეთის

ომი მოიგეს, — ეგერ სასამართლოში საქმე წააგეს; აგერ შესევით ქალაქები აიღეს, — ეგერ სადილზე დაუგვიანდათ... როგორ სახარბიელო არ არის მათი ხელობა! აბა თუ რომელიმე სახელოსნოა, ან რომელიმე კუნჭულია ბაზარში, სადაც ისინი მთელ დღეს არ დაწანწალობდნენ და თავს არ აბეზრებენ მაყურებლებს თავისის დაუბოლოებელ ჭორიკანობით.

უ ნ ა მ უ ს ო.

უნამუსობა არის სხვისი სახელის გაბიაბრუება რაღაც ოცმაგურის ცუღლუტობის გულისათვის.

უნამუსომ არ იცის ძველის ვალის გადახდა, ხელახლა კი დაგესესხება. ღმერთებს რო მსხვერპლს შესწიროს, იგი გამოიყოლებს ჩალაღაჯს, ამოიმა-

ლავს მას და მიდის ნაცნობებთან სასადილოთ, იღებს ტაშტითგან პურს და უძახის თავისს მონას, მოუკითხავს მას და ხმამაღლა ეუბნება: „აჰა ტიბიოს შეექეცი!“ — ხორაგს რო ყიდულობს, იგი მოაგონებს ყასაბს, წინათ რო მისთვის სიკეთე უქნია; სასწორთან დგება და უკვე აწონილზე გადისვრის ნაჭერ ხორცს, ან ძვლებს ხარშოსათვის. თუ ამ ოინმა მუქთათ ჩაურა — იგი კმაყოფილია, თუ არა და წამოატანს ხელს თაროზე შემოდებულ შიგნეულობის ნაგლეჯს და ხარხარით გარბის თეტრში

რომ ადგილი დაიკავოს, თავისის სტუმრების მინდომილობით, — თითონ მუქთ თავს გამოიტანიებს; მეორე დღეს კი ამ მუქთათ ადგილზე მიყავს თავისი ბავშებიც, მათის მამამძუძიანათ. ვთქოთ შენ რამე იაფათ იყიდე, ის დაგეღმიჯება — ცოტა მიზიარეო. სხვის სახლში რო მივიდეს, გამოართმევს სესხად ქერს, ან ბზეს და თვითონვე გამომსესხებელს მიატანიებს შინ. აბანოში მიდის, სპილენძის ქვაბითგან ამოიღებს ყურიალათი წყალს, მეაბანოეს ყვირილს ყურსაც არ ათხოვებს; მერე ეტყვის, დავიბანეო, გადის კარზე და შემოუძახებს: «შენ რა გენაღელება!»

ძუნწი.

ძუნწობა — ხარჯში გადაჭარბებული ხელმოჭერილობაა.

ჯერ თვე არ გათავებულა და ძუნწი თითონ მოდის შენთან ბინაზე ვალის სარგებლის მისაღებათ. ნადიმის დროს იგი სათვითაოთ ითვლის ვინ რამდენი ჭიქა ღვინო დალია და ყველაზე ნაკლები შესაწირავი მიაქვს მას არტემიდასთვის 18). შენ რომ ყველაფერი იაფათ უყიდო მას, — იმას მაინც ანგარიშის დროს ყველა ფასები უშველებლად ეჩვენება. მსახურმა რომ ქოთანი გაუტეხოს, ან საწვნე იგი, — მათს ფასებს ჯამაგირში

გამოუკლებს; ცოლს რომ გროში გაუარდეს — იმისათვის გადმოატრიალებს მთელ ავეჯეულობას: ტახტებს, შკაფებს, აბერტყავს საბნებს; ძველძულებს რომ ყიდიდეს, — მაშინაც ცდილობს, მეტი დასტყუოს მყიდველს. თავისს ბაღში ერთ ლეღესაცარ გითავაზებს. თავისს კარ-მიდამოში

არ გაგატარებს მარტო, რო მიწითგან ზეთის ხილის მარცვალი, ან ხურმა, არ აიღო. ვალის გადახდა რომ გადაგიცილდეს, უთუოდ საუპირულოს გადაგახდევინებს და სარგებლის სარგებელსაც. თავის მოქალაქეები რომ სტუმრად ყავდეს, — ხორცს წვრილწვრილათ დაჭრილს მიართმევს. ხორაგის საყიდლათ რომ წავიდეს, — ხელცარიელი დაბრუნდება, თუ ჩალის ფასად ვერ იშოვა. ვაი მის შავდღეს, თუ ცოლმა სესხად გაუცა მარილი, ჭრაქები, ტმინა მაიორანა 19), ქერი მსხვერპლისათვის, ლეკეერთხი, ანუ კიდევ სამსხვერპლო ლავაშები, — ამისთანა წვრილმანებიო, ამბობს იგი, წლითგან წლამდე კაი ფასად ჯდებაო.., ძუნწების საფულე ყუთი ჩვეულებრივათ ობით არის დაფარული, კლიტეები კი — ჟანგით. დადიან ისენი მუხლებთ ზევითამდე მოხურული კლოკვებით. იცხებენ ზეთს პაწაწინა შუშითგან თმას საბარცხლის პირზე იპარსვენ, შუადღისას ფეხშიშველა დადიან. შემძლეს ისინი დაასაქმებენ ხოლმე, მათი კლოკეები მომეტებულ ცარცში მოთელონ, რომ დიდხანს რეცხა არ დაჭირდეს.

25

მოლიზღარი (სალახანა).

მოლიზღარობა ადვილი განსამარტებელია — ეს არის საძაგი ოხუნჯური მასხრობა, ვისმე გასაქირდავათ მიმართული.

პატიოსანი ქალები რომ შეხვდეს, სალახანა გადიწევს ტანისამოსს და... იგი თეატრში ტიტინობს, როცა ყველანი ჩუმობენ; უსტვენს მსახიობებს, როცა დანარჩენი ჯამაათი აღტაცებაშია მათის თამაშობით, თეატრში სრული ყურადღებაა, – იგი აიშვერს თავს და ჩაახველებს, რომ მაყურებლების ყურადღება მიიქციოს, ბაზარში ხალხის ჟრიამულია. — იგი მივა ყაფაზასთან, საცა აწყვია ნიგვზები, ზეთის ხილები, წამლები, მიადგება ახლო, დაუწყებს მათ ჭამას და თან მეხილეს ელაზღანდარება. ახლო უცნობმა პირმა გაიარა, დაუძახებს სახელს; ხედავს, თქვენ საქმეზე მიეშურებით, – გთხოვს დამიცადეო; შენ დიდი საჩივარი წააგე და გამოდიხარ სამსჯავროთგან, – იგი მოგვარდება და მოგილოცავს. იგი გამვლელს ცხვირში აჩრის ხორაგს და უძახის მათ სადილზე. მივა სადალაქო კართან, ანუ საპირფარეშო დუქანთან და მოითხოვს: ერთი რჯულზე დამალევინეო. დედამისი რომ ფრინველთ მკითხავთან მივიდოდეს, – იგი გამო-

ლანძღავს მას; ლოცვის, ანუ შეწირვის დროს იგი

გააგდებინებს სამსხვერპლო ფიალას და გადიხარხა-
რებს, – მას ცუდი მოსწავე გამოუვიდა... იგი და-
კვრევინჟბს სალამურს, – მარტოკა თითონ ტაშს
უკრავს, შტვენს რომელსამე ცნობილ ანგს და
ამასობაში აგინებს მესალამურე ქალს, რატომ სას-
ვენებს უგვიანებო; გადაფურთხება უნდა, აფურთ-
ხებს ტაბლითგან პირდაპირ მერქიფეს.

გულუბრყვილობა.

გულუბყვილობა არის სხვისი თავმომაბეზრე-
ბელი საქციელი თვისდა დაუგნებლათ.

შენ საქმეში გართული ხარ, – გულუბრყვილო
შენთან რჩევის საკითხავათ შემოდის. მის მეგობარს
რომ აციებდეს, – ის პირდაპირ შევარდება მასთან
სანახავათ. ვთქოთ, შენ ამ საათში მოგისაჯეს სა-
თავმდებლო გადასახადიო, – იგი მოდის და მეთავმდებ-
ლეო, გეხვეწება. სამსჯავროში მოწმედ დაიბარეს, —
იგი საქმის გარჩევის ბოლოს გამოცხადდება. ქორ-
წილში სტუმრად არის, – ეფარეზება შვენიერ სქესს.
თქვენ ესეს არის უშველებელი გზა გამოგივ-
ლიათ, – იგი სასეირნოთ გეპატიჟებათ; ნივთი უკეე
გაგიყიდია, იმას ახლა მოყავს მუშტარი, რომელიც
მეტს იძლევა; ამბავი დაწვრილებით შეტყობი-
ლია, – იგი ადგება და თვითგან კრიალოსანსავით

ჩამოგითვლის. იგი მზად არის უზაკველის უანგარო სამ-
სახურისათვის და, თუნდ ამას არავინ საჭიროობდეს,
იგი მაინც თავისს სურვილს თავს ვერ ანებებს.
თქვენ მსხვერპლს წირავთ, ესეს არის დახარჯულ-
ხართ, – იგი მაშინ მოგადგება კარზე, თავისის ფუ-
ლის ნაასალის (პროცენტის) მისაღებათ. შენ, ვთქოთ,
მონას ცემ, – ის საითგანღაც გამოძვრება და გა-
გიბამს წილადობილას, რო მანაც ერთხელ დასაჯა
თავისი მონა, რომელმაც ამისგამო აიღო და თავი
ჩამოიხრჩო!.. ვთქოთ, იგი ამოირჩიეს მედიატორედ,
ორივე მხარეს მორიგებას მონდობილია, – იგი ერთ-
მანერთს, თავისის უგუნურობით და შეუგნებლათ,
უსისინებს. მოუნდა მას ცეკვა, – იგი წამოავლებს
ხელს თავისს ჯერ შეუზარხოშებელ მეზობელს,

ცეკვავს და მასაც ძალათ აჯანჯლებს.

მ ე ტ ი ჩ ა რ ა.

მეტიჩარობა არის გულუწრფელი თავაზიანობა სიტყვასა და პასუხში.

მეტიჩარა იკისრებს იმისთანა საქმეს, რომელიც აღმოჩნდება მისგან შეუსაძლისოდ. ყველანი დარწმუნებულნი არიან, რომელსამე საჩივრის მოგებაში, — იგი თავაზიანობით თავისს თავს ვექილად წამოგიყენებს და საჩივარს წააგებს. იგი ნადიმობის დროს მოატანინებს მონას წყალშერეულ

ღვინოს, მომეტებულს იმაზე, რამდენიც სტუმრებს შეუძლიანთ დალიონ. იგი გააშველებს ხოლმე მისგან უცნობ მოცილეებს; გამოეწვევა, ბილიკს გაგაცილებო და მერე გზას ვეღარ პოულობს. იგი მივა სარდალთან და ეკითხება: ომს როდის აპირებთო და ზეგ რა პაროლი 20) უნდა გასცეთო ჯარში მამასთან მიირბენს და მოახსენებს, რომ დედა დიდიხანია ლოგინში განისვენებს და გიცდისო; ექიმი ავათმყოფს ღვინოს უკრძალავს, — იგი იტყვის, რომ ერთს მაინც ვშინჯავ და ლაზათინათ დავალევინებო. მის ნაცნობს ცოლი მოუკვდა, — იგი ურჩევს ამოაჭრევინოს ძეგლზე სახელი თვითონ განსვენებულისა, მისის საგაზდილოსი, ქმრისა, დედისა
და ბოლოს წაუმატებს: „ყველა ისინი შვენიერი ადამიანები იყვნენ“. წარდგა ფიცის მისაღებათ, — იგი მოუბრუნდება მაყურებლებს: „განა პირველათ ვფიცულობ!“ (მეტიჩარა ხალისიანათ იღებს ფიცს იმიტომ კი არა, მითომც ფიცს არაფრათ აგდებს არამედ იმიტომ, რომ სხვებს აამოს)

ქ ა რ ა ფ შ უ ტ ა.

ქარაფშუტა ქვიან იმას, ვისაც ნიჭიერება არ შესწევს სიტყვა-პასუხში და საქციელში ჩაუკვირდეს საქმის შინაარსს.

ქარაფშუტა გამოიანგარიშებს, გამოიყვანს ჯუმლს და ეკითხება მეზობელს, „რამდენია?" იგი სამსჯავროში მიყავსთ; ის ეპირება იქ წასვლას და

გულმავიწყობისა გამო აგარაკისაკენ გასწევს. თეატრში იგი თვლემს; ყველანი რომ გადიან — იგი კიდევ ოცნებობს. იგი გაძღება ძალზე, ზოგჯერ გამოიღვიძებს კარზე გასასვლელათ და... მეზობლის ძაღლების საყავყაოთ გახდება. აგერ ნივთს აიღებს თითონ დადებს სადმე, ეძებს და ვერ პოულობს. შეატყობინებენ მოყვრის სიკვდილს და გასვენებაზე ეპატიჟებიან, — იგი ერთი დაიღმიჭება და თვალცრემლიანი წამოისლუკსლუკებს. „საწყალი! ღმერთმა მშვიდობა მისცეს...“ მას ვალს უხდიან და მოწმეებზე კაცს გზავნის. გაცხარებული ზამთარია, ის კი მონას უჯავრდება, რატომ კიტრები არ შემოიმარაგეო. მუშაობის ამინდში, იგი თითონ ხარშავს ოსპის შეჭამანდს, მარილს ორჯელ ჩააყრის ქოთანში — და მისი ნათანთქლი პირში არ აიღება, წვიმაა, — ის აღტაცებულია: „რა კაშკაშობენ ვარსკლავები“ ვარსკლავები რო გამოჩდებიან — ამბობს: „ვისაც უნდა თქვას, — ბნელი კუპრზედ უარესიაო“. როგორ ფიქრობ, რამდენი მიცვალებული გაატარეს „მკვდართა ბჭეში“, ეკითხებიან მას, ის კი უპასუხებს: „იმდენი ღმერთმა მე და შენ მოგვცესო.“ იმას გონია თუ, ფულზედ ან მაგისთანა რასმე ეკითხებიან.

30

უკარება.

უკარებას იცნობ იმითი, რომ ლაპარაკში არ ერევა, მარტოობა უყვარს.

კითხე უკარებას, სად არისთქო ესადაეს კაცი, — ის ჩაიბუტბუტებს: «ჩამომეხსენ ერთი». გამარჯობა რო უთხრა, — „გაგიმარჯოსო“ პასუხად არ გაღირსებს. ნივთს რომ ყიდიდეს, მყიდველს ფასს არ ეტყვის: თვითონ როგორ გიღირსო კითხავს. მოართვეს მას პატივისცემის ნიშნად რამე, საოჯახო დღესასწავლობაზე, – ის შეუთვლის – სამოწყალოს არ ვსაჭიროებო. მოაცხე რამე უცაბედათ, ან მიეხალე უნებურათ, ან ფეხი ფეხზე დაადგი, მას შემდეგ ის შენი დაუძინებელი მტერია. თხოვე მას, ვთქოთ, მონაწილეობა მიიღოს მისავე მეგობრის შესაწევარ ხელმოწერაში, – ის გიპასუხებს – ზედ ფული არა მაქვსო; ერთხანს უკან კი მოდის ფულიანათ გაძლევს, თან დაატანს: ამ ფულს ყალში ვაგდებო. (ამისგამო მისს ქველმოქმედებას ფასი აკლდება). ქუჩაზე რო ფეხი წაუბორძიკდეს, მოდგება და გამოგილანძღავს მუხანათს ქვას. ლოდინით, რამდენს ხანსაც გიწდა, იმდენს ხანს

გილოდინებს (ოღონდ მარტო ამყოფე.) სიმღერა
თუ მოუნდა, იმღერის მუნასიბს 21). ცეკვის მო-
ყვარული არ არის; ღმერთებს არ ლოცულობს.

ცრუმორწმუნე.

ცრუმორწმუნეა ის, ვისაც ბოროტი სულები,
(დემონური) ძალები რწამს.

კრუშკების 22) დღესასწავლობაზე ცრუმორწმუნე
ხელებს დაიბანს, ოსხურებს ყოველის მხრით ნა-
კურთხს წყალს და მთელს დღეს დადის პირში
დაფნის ფოთლიანათ. გზაზედ რომ ციყვმა გადურ-
ბინოს, – იგი ადგილზედვე გაშტერდება, სანამ
მეორე არ გამოხტება, ან სანამ გზას სამ ქვას არ
გადაავლებს. მოშორებით რო შავი გველი დაი-
ნახოს, – იგი საბაზიოს 23) მოუწოდებს; საღმრთო
გველი თუ დაინახა, მაშინვე სამსხვერპლოს აღუ-
გებს. მებოძირებზედ (გზაჯვარადინზედ) ამართული
ღმერთების ქანდაკებს რომ ახლოს გაუაროს, –
იგი თავისს შუშას ამოიღებს და მათ ზეთს მია-
შხურებს; მუხლს მოიდრეკს და მოწიწებით გა-
შორდება. თაგვმა რო მას ფქვილიანი ტომარა
გაუტკვიროს, – იგი მკითხავთან გარბის: რა მე-
შველებაო. მან რო ურჩიოს: ტომარა დააკერებეიო, –
ეს ამას როდი დაიჯერებს, არამედ მობრუნდება
შინ და რომელსამე ღმერთს შესწირავს მოსა-
მადრიელებელ მსხვერპლს. იგი ხშირით ასრულებს
განსაწმენდელს, – იგი გეკატას 24) გაათვალვინეს.
გზაზედ რო ბუს ძახილი გაიგონოს, – იგი კანკალებს,

ჩურჩულებს: „ათინავ, 25) შემიწყალე!“ და მიდის.
ის საფლავზე არ დაჯდება მიცვალებულის გვამს
არ მიეკარება, არც მშობიარე ქალს — თავი რათ
შევიბღალოო, ფიქრობს იგი. თთვის მეოთხე და
მეშვიდე დღეს, იგი შინაურებს ადუღებინებს ღვი-
ნოს, თითონ წავა, იყიდის ერთიანათ დაფნის ტო-
ტებს, გუნდრუკს, სამსხვერპლო ლავაშს, მობრუნდება
შინ და მთელს დღეს ამკობს რტოებით, გერმაფრო-
დიტეს 26) აღალმას. ძილში თუ სიზმარი ნახა,
– იგი ინახულებს სიზმართამხსნელსაც, წინასწარ-
მთხრობელსაც და ფრინველთმკითხავსაც, რომ არ-
ჩევინოს, რომელ ღმერთს უნდა დავემწყალობლოო.
იგი ყოველ თვე ნახულობს ცოლიანათ ორფიკურ 27)
საიდუმლოებს, თუ მის ცოლს არა სცალია – ძიძა-

ბავშვებიანათ მიდის. ის გულსმოდგინეთ ბანაობს ზღვაში. თუ ერთხელ მან მებოძირზე დაინახა ხალხის გროვა, ნივრის გვირგვინაკიანი, იგი თავს დაიბანს და მოიწვევს ქურუმ-ქალებს, რათა გასწმიდონ იგი ზღვის ხახვით და ლეკვის სისხლით. გადარეულს რომ შეხედოს, ან ბნედიანს, — თავის გულზე იწყებს ფურთხებას.

ჯუჯღურა.

ჯუჯღური ქვია თავისის ბედნიერის ხვედრის უკმაყოფილებას.

33

ჯუჯღურას რო მეგობარმა თავისი სუფრითგან სანოვაგეები მოუკითხოს, ეს მომტანს მიუბრუდება და უსაყვედურებს: „რატომ სადილზე არ დამიძახე? თუ დაგნანდა ერთი კოვზი წვენი და ერთი ყლაპი ღვინო?“.... „ვეჭობ, რომ შენ ეგრე გულით გიყვარდე“, ასე უპასუხებს იგი საყვარლის მხურვალე კოცნაზე. იგი ბუზღუნებს იმაზე კი არა, რატომ წვიმა მოდისო, არამედ იმაზე თუ, რატომ ადრე არ მოვიდაო. ქუჩაზე რო ფულიანი ქისა იპოოს, ამბობს: „ამის მეტათ ფული არ მიპოვნიაო“. ვთქოთ, ბევრის ჯანჯლობით და ხვეწნით იაფათ იყიდა მონა, — ჩაიღრუტუნებს: „მიკვირს, როგორ ჩალის ფასად დავირჩინე მე ეს ძარღვ-ბაგისა!“ სამხიარულო ამბავი მოუტანეს: «ვაჟის მამას გაუმარჯოსო!» ის კი ამას ამბობს: „განახევრდა ჩემი დოვლათიო“... მან საჩივარი მოიგო: ერთხმათ მისდა სასარგებლოთ გადაწყვიტეს. ეს ამდგარა და თავისს მოსაქმეს უსაყვედურებს: რათ ბევრი შეურყეველი საბუთი არ წარადგინეო. მოკეთეებმა მას დასახმარებლათ ფული შეუგროვეს და «მოგვილოცნიაო!» ეუბნებიან მას. — „მითომ რა მოგილოცნიათ“ კითხავს ის, „განა მე როდისმე უკანვე არ უნდა დავუბრუნო თვითეულს მისი შემონაწევნი და ამასთანავე მადლობაც არ უნდა გადვუხადო მათ პატივისცემისთვის?“

34

დაუნდობარი.

დაუნდობლობა არის ყველასადმი ეჭვით ყურება და ქვემხედველობა.

დაუნდობარი გაგზავნის მონის ხორაგის სასყიდლათ და მეორეს მზვერავად უკან მიადევნებს: აბა უყურე, რა როგორ იყიდოსო. იგი ფულს არ ელევა, — ზის თავისთვის სოხანოზე, ფეხგაწვდილი და ზედი-ზედ გადითვლის ხოლმე. იგი წევს და კითხავს თავისს ცოლს: «დაკეტილიაო, თუ არა საფულე კოლოფი; მიბეჭდილია, თუ არა საჭურჭლე შკაფები; გაყრილი აქვს, თუ არა ურდული უკანა კარებს?“ ცოლმა რომ „ჰო“ უთხრას, ის მაინც წამოდგება პერანგის ამარა და ფეხშიშველა, აანთებს, სანთელს, სუყველაფერს დაირბენს, დახედავს და ძლივს-ძლივობით დაშოშმინდება. მოვალეებისაგან სარგებელს იღებს გარეშე პირების თანადასწრებით, რომ შემდეგში გადახდის უარი არა თქვანო. იგი ყოველ დღე ამოწმებს: სამიჯნე საზღვრები ხომ არავის გადაუცვლიაო. იგი აძლევს თავის, გიმატიას შესაღებავათ იქ ქი არა, საცა კარგათ ღებავენ, არამედ იქ, საცა საიმედო გირაოს მიიღებს. თუ მოვიდენ მასთან აზარფეშის სათხოვრათ, — იგი ჩვეულებისაებრ უარს ეტყვის. მაგრამ ნათესავს, ან გულითადს მეგობარს ათხოეებს, მხო-

ლოდ ნივთზე სანიშნეს გაუკეთებს, ასწონის და დაიტოვებს რასმე სამაგიეროთ. მონა რო უკან მიყობოდეს, წინ გაიგდებს, რათა გზითგან არ გადუხვიოსო. იყიდეთ რამე მისგან და უთხარით: „იანგარიშე და ნისიათ გამატანეო, — მე ფულისათვის ბინაზე მოსასვლელათ არ მცალიაო“ — ის გიპასუხებს: ნუ შეწუხდებით, თუ შენ არ გცალია, მე წაგყვები მინამდე,“ (რა თქმა უჩდა ფულის მისაღებათ).

ბ ი ნ ძ უ რ ი.

ბინძურობა არის თავისის სხეულის მოვლაში დაუდევობა. ის ღძრავს უსიამოვნო გრძნობას.

ბინძური დადის მუწუკებიანი , ბღერიანი, ფრჩხილებ დაუკვეცელი. თავისს საძაგელ შეხედულებას იგი აბრალებს მემკვიდრეობითს ავათმყოფობას: ეს მამასაც ჭირს და პაპასაც ჭირდაო, — მისს ოჯახში ძნელი მისაღებია სხვისი ბავში, ფეხები სულ მუწუკებით სავსე აქვს, ხელებზე ზღმურდლები, მაგრამ ერთსაც არ იფიქრებს მოვარჩინოო, «დეე იწბოლონ». იღლიებითგან თეძოებამდე შებანგვლულია სქელის ბანლით, ტყის ნადირივით. კბილები ჩაშავებული და ჩამტვრეული აქვს, — ლა-

პარაკის დროს ახლო ვერ მიეკარები: პირი უყარს. იგი სჭამს და ცხვირსაც იხოცს, ლაპარაკის დროს აფურთხებს, სმის დროს აბოყინებს. ნასადილევს

ხელდაუბანელი და პირგამოურეცხელი მიდის დასაძინებლათ; აბანოში თავზე აყროლებულ ზეთს იცხებს და ისე წავა საბურთაოთ. ბაზარში გამოდის ჯვალოსაგან შეკერული კურტაკით და მეტათ გაცვეთილის გამოსულის გიმატიით.

ყ ა შ მ ი ე რ ი.

ყაშშიერობა არის გულუბრყვილოთ სხვების თავის მობეზრება.

შენ ესეს არის დაიძინე, ყაშმიერა შამოვა და გაგაღვიძებს, ოღონდ ერთი შენთან იმასლაათოს. თქვენი გემზე დაჯდომის დროა, — იგი ხელს გიშლისთ. შენ მიხვედი მასთან, — გთხოვს დამიცადეო, სანამ ის გაისეირნ-გამოისეირნებს. ის გამოართმევს ძიძას ბავშს, თითონ დაუღეჭავს საჭმელს, თითონვე აჭმევენ მას, ენას უწვდის, აწკლაპუნებს და ეუბნება ბავშს: შენ შენს ბაბუაზე ნაკლები გაიძვერა არ იქნებიო. იგი ჭამს და თან მოგითხრობს: აპუტარაკის (მცენარეა) მიღებამ ქორივით ტანში გამხვეტაო და შავ ნაღველზე გავდივარო. — „შითხარ დედილო, როგორ გრძნობდი შენ შენს თავს იმ დღეს, როცა მე მშობე?“ — კითხავს ის შინაურებთან და მის მაგიერათ პასუხს თითონვე იძლევა: ალბათ ძალიან ცუდათაო, თუმცა კი ძნელია, ამისთანა საგანზე სჯა, იმ კაცისათვის, რომელსაც მაგის მსგავ-

სი არა გამოუცდია რა... ვთქოთ მიიპატიჟეს სადილზე, — ის ძალზედ გამოიძენძება და გააბამს ლაპარაკს, რომ შინ მას წყალი ცივი აქვს, — რო მას ჭა აქვს, რისგამოც მას ყოველთვის ღვინო გაციებული აქვს. მის ბოსტანში მოდის ბევრი საიასაღო წვანილი; რო მისი მზარეული საუცხოო სანოვაგებს ამზადებს. ჩემი სახლიო, — იკვეხნის ის სტუმართან, — ნამდვილი სასტუმროა, მუდამ ხალხით სავსეაო. ჩემი მეგობრები ფსკერგავარდნილი ქვევრებიაო; სულ რო ასვა და აჭამო, მაინც შიათო. — ამასთანავე იქვე, წარმოუდგენს თავისს მოსაუბრეს ერთს ამისთანა მსხილს (პარაზიტს) და მუქთა ხორას. — „სტუმრების პატივისცემისათვის

მე მუდამ მზადა ვარ“, იტყვის იგი და დაეპატიჟება სტუმრებს; დავლიოთო, — ერთი რომ ვსთქვა — მონა ერთ წუთში ქალს მოიყვანს სამუტრიბოთგან, რომ ჩვენ ყველამ სალამურზე სმენა დავიტკბოთ მისის დაკვრით და... სიამოვნით დრო გავატაროთ.

მ ე დ ი დ უ რ ი.

მედიდურობა — წვრილმანი პატივმოყვარეობაა.

მედიდური სადილათ რო მიიპატიჟონ, იგი ყოვლის გზით ცდილობს მასპინძლის გვერდით დაჯდეს. შვილის თავის გასაკრეჭავათ იგი დელფიაში გაემ-

გზავრება; მხლებელ მონად ეცდება ზანგი იყოლიოს. ხშირხშირათ წვერს იპარსავს და კბილებს იფერავს; ახალ ტანისამოსს იკერავს, თუმცა ძველი არ გაცვეთია; ხშირხშირათ სურნელს და ნელსაცხებელს იცხებს. ბაზარში ისე მიდის და გაივლი-გამოელის მეკერმეების (ზარაფების) მაგიდებთან (სტოლებთან). გიმნაზიებში შეჩერებია ყმაწვილების სხეულთ ვარჯიშობას; თეატრში წარმოდგენებზე, იგი ჯდება სარდლების გვერდთ. იგი შამოიკრებს ყოლაფერს თავისთვის კი არა, არამედ უცხოეთში თავისის მეგობრისთვის გასაგზავნათ, — ხმელხლებს — ბიზანტიაში, სპარტანულ ძაღლებს — ქიზიკიაში, გიმეთურ თაფლს — როდოსში და ამ ამბავს მთელ ქალაქს მოსდებს. იგი ინახავს სხვადასხვა მაიმუნებს, ყიდულობს სიცილოელ ტრედებს, ქურციკის ძვლების კრიალოსანს, რგვალ-რგვალ ტურულ შუშებს სურნელებისათვის, მოკაუჭებულ სპარტანელ ჯოხებს და ნაქარგავ სპარსულ ნოხებს. მას აქვს ეზო კონისტერიანი 28) და სფერისტერიანი 29) პალესრის მგზავსათ, სადაც ის დასეირნობს, ფილოსოფოსების, სოფისტების 30), ფეხმეისტრების 31), და მემუსიკეების გვერდით და თხოვს მათ გამოაჩინონ თავიანთი ხელოვნება. თითონ გამოჩნდება წარმოდგენის ბოლოს, რომ ერთმა მაყურებელმა მეორეს ხელი კრას; «აი თითონ პალტესტრის პატრონი». რაც უნდა ცოტა ვალს ისტუმრებდეს, — იგი ახალ-

ახალ მანათიანებს გადმოსთვლის. მსხვერპლად რომ ხარი შესწიროს, — იგი მისს რქებს მიაჭედავს შესავალ კარების თავზე და შეამკობს ფერადის თაიგუ-

ლებით, აქაოდა შემომსვლელებმა დაინახონ, რომ
მას მსხვერპლად ხარი შეუწირავს. ცხენოსნების სა-
დღესასწაულო გამოჩვენების გათავებისას, — იგი მო-
ნის ხილით შინ გზავნის მთელის ცხენის აღკაზ-
მულობას, თითონ კი გიმატიით და დეზებიანთ და-
სეირნობს ბაზარში. ჭილყვავისათვის, რომელსაც
იგი სახლში ინახავს, — ის აკეთებინებს პატარა კი-
ბეს და ზედ მიამაგრებს სპინლენძის ლატანს, რომ
ჭილყვავმა იქითგან კიბეზე იხტუნოს. მოუკვდა
მას მელიტური ფინია, — იგი მას ძეგლად ადგამს
სვეტს ეპიტაფიითურთ: „ადგილსა ამას განი-
სვენებს გვამი მელიტის მკიდრისა“. ესყულაპის
32) ტაძარში რო სპილენძის რგოლი შესწიროს, —
იგი ყოველ დღე ზეთს აცხებს და ფერავს. პრიტა-
ნებს გამოსთხოვს ნებას, ხალხს გამოუცხადოს
მსხვერპლთშეწირვის გათავება, — იგი წარმოდგება
წინ მდიდრულის ტანისამოსით, გვირგვინით თავზე
და დაიწყებს: „ათინელებო! ჩვენ ბრიტანელებმა
შევსწირეთ მსხვერპლი უკუდავთა დედას; წარბრძან-
დით მშვიდობით: სათნოყოფილარს მსხვერპლი!..“
მერე დაბრუნდება შინ და ცოლს ეუბნება: დღეს
მეტის მეტათ ბედნიერი ვარო.

40

კ რ ი ჟ ა ნ გ ი.

კრიჟანგობა იმას ქვია, როცა კაცს სრული-
ად ავიწყდება პატივი იქ, სადაც ხელმოჭერილობა
დამამდაბლებელია.

კრიჟანგმა რომ გაიმარჯოს ტრაღუკურს გა-
ჯიბრებაში, — იგი შესწირავს დიონისს ხის გვირგვინს,
ზედ ამოჭრილის თავისის სახელით. როცა საერო
კრებაში წინადადება შეაქვთ სახელმწიფო საჭიროე-
ბათათვის კეთილმნებლობითს შესაწირავზე, — იგი
გაბუსუნდება, ან ადგება და საცდღაც გაძვრება. ქალი-
შვილს რო გაათხოვებს, — იგი სამსხვერპლო ხორცს
გაყიდის, გარდა იმისა, რაც მისის მსხვერპლისა-
თვის საჭირო არ არის, მოსამსახურეებს საქორ-
წილო ნადიმში მათისავე ხარჯით დაიქირავებს. გემს
რომ უფროსობდეს, — იგი თავისთვის ერდოზე მე-
პრორის ლეიბს დაიფენს ხოლმე, თავისას კი განზე
გადადებს. მუზების დღესასწაულზე ის შვილებს არ
გაუშვებს სკოლაში, მითომ ავათმყოფობისაგამო,
მას ეშინია, ვინ იცის, იქნება ბავშვთა ფულის
გამოღება გამართონო. ხორაგს იყიდის და თითონ მი-
აქვს ბაზრითგან; ხორცი — ხელით წვანილი —
იღლიით

გიმატია რომ გასარეცხათ მოსცეს, — თითონ შინ ზის რომ დაინახოს მეგობარი, რომელიც ფულს აგროვებს სამადლო საქმისათვის და მან ამის თაო-

ბაზე კრიჟანგს ჩამოუარეკოს, — იგი მაშინვე გზითგან გადუხვევს და დაბრუნდება შინ იკლიკანტურის გზით. მან მზითევიანი ცოლი შეირთო, მაგრამ მოახლეს მისთვის არ ყიდულობს, არამედ სასეირნოთ წასვლისას საახლებელათ უქირავებს ხოლმე მას პატარა გოგოს. იგი იკერებს ბაშმაკებზე ახალ ფინჯაფინას და გაჯერებს, რომ ბაშმაკები რქასავით მაგარია და ამიტომ ჯერ არ გამომიცვლიაო. დილაობით იგი თითონ რეცხავს ოთახს და ბერტყავს ბუმბულს. რომ ჯდება, ქვეშ ამოიდებს თავისს ტრიბონს 32), — ტანისამოსის უკარ კალთა არ გამიცვთესო.

მკვეხარა.

ტრაბახობა არის დაჩემება წამავილათ არ ქონებული სათნოებათა.

ტრაბახა დგას ნავთსადგურის კიდეზე და მოუთხრობს უცხოელებს თავისს უშველებელ აღებ-მიცემაზე სამეზღვაურო ვაჭრობაში; ლაქლაქობს იმაზე, თუ რა მამასისხლ სარგებელს იხდის ამის გულისთვის ნასესხებ ფულში, იკვეხნის მოგებას და ზარალს. უეცრათ მისი ტრაბახობა შესწყდება, — იგი აგზავნის მონას საკერმებზე, სადაც მას ერთი დრაკანიც არ უჭყავის. დაიჭერს თაეისთვის თანამგზავრს და გზა და გზა ელაპარაკება, თუ როგორ

იგი მონაწილეობდა ლაშქრობაში, თავისს ახლო ნაცნობ ალექსანდრესთან, რამდენი ძვირფასი ქვებით შემკული აზარფაშები მოიტანა. ამასთანავე ეკამათება, რომ აზიელ ოსტატების ხელთნაქმრები უფრო მაღლა დგას ევროპიელისაზეო. ებაასება ამაებზე, თუმცა იგი თავისს საგაზდილო ქალაქს არ გაცილებია. მაგრამ დარჩენილიაო, განაგრძობს იგი, ანტიპატრესაგან სამი წერილი, რაშიდაც მას ეპატიჟებიან მაკედონიას წასასვლელათ და აძლევენ მას ნებას უბაჟოთ საშენის ხე-ტყის გადატანისას, მაგრამ მან უარიყო, რათა ეჭვი მაზედ არავინ შეიტანოსო, — „მაკედონიელებს მართებსთ სიფთხილით მოიქცენ“... მოუსავლობის დროს მან დახარჯა

უქონელ მოქალაქეთათვის დასახმარებლათ ხუთს ტალანტზე 33) მეტი, — გულმა არ მიქნა უარი მეთქო... ზის მასთან რამდენიმე უცნობი პირი, — იგი ერთს მათგანს თხოვს, აბა ჩათვალე რა გამოვაო: ექვსასი კაცი — დამიჯდა თითო მინად 34), — ამასთანავე უფრო დასაჯერებლათ, იმათ სახელებსაც ჩამოგითვლის და ჩამოიანგარიშებს კინაღამ ათას ტალანტს... ამდენი გაფლანგა მან, მისი სიტყვით, შესაწევრათ. „იმის აღარ ვიტყვიო, რა დავხარჯე ტრიერარხიებისა 35) და სხვა შესაწირავებისთვის. იგი მივა დალალებთან, რომელნიც კაი ცხენებს ყიდიან, შეეყიდულება; შევა კრავოტების მაღაზიაში, ამოირჩევს ყველაზედ უძვირფასესს საბანს

და უჯავრდება მონას — რათ ფული ბლომათ არ იგულვეო. იგი ცხოვრობს სხვის სახლში, უცნობებს კი აჯერებს, რო მამისაგან სამემკვიდროთ დარჩენილი სახლიაო, მაგრამ ვფიქრობ გავყიდიო; სტუმრებს მისაღებათ მეპატარაეებაო.

ამპარტავანი.

ამპარტავნობა არის არათ ჩაგდება ვისიმე, გარდა თავისის თავისა.

შენ შეჭივრება მოელაპარაკო ამპარტავანს დაუყოვნებლივ, — იგი ნასადილევს, გასეირნების დროს დაგინიშნავს სანახავათ. მან რომ სამსახური გაგიწიოს, — გეტყვის აღარ მახსოვსო. მედიატორედ რომ აირჩიონ, — იგი საქმის გადასაწყვეტათ მომჩივნებს ადგილს დაუნიშნავს ქუჩაზე. მას რომ დიდი თანამდებობა შეაძლიონ, — იგი ფიცით უარობს არა მცალიანო. საკუთარის ღირსების გრძნობა ნებას არ აძლევს, მან პირველმა თავი დამიკრას. იყიდეთ თქვენ რამე ნივთი იმისგან, ანუ დაექირავეთ მას, — იგი დაგიბარებს შინ გათენებისას. ქუჩაში ის გამვლელს ხმასაც არ გაცემს, ხან ცხვირს ჩაკიდებს ძირს, ხან, როცა ენებება, ისევ მაღლა მიაქვს. იგი პატიჟობს სტუმრებს, მაგრამ თითონ მათთან არ სადილობს, — მათი მასპინძლობა მინდობილი აქვს მონაზე.

სხვასთან რო მიდიოდეს, — ჯერ კაცს გააგზავნის თავისს თავზე მოსახსენებლათ, იმისთვის კი არა, რომ ნაცნობს მოუმარაგებელათ არ წააწყდეს, არა-

მედ იმისთვის, რომ მან მიიღოს იგი შესაფერის პატივით. ვალს რომ გიხდის, მონას უბრძანებს გამოიანგარიშოს, ჯუმლი გამოიყვანოს და შეიტანოს შემოსავალ გასავლის დავთარში. წერილებში არ წარს: «გეთაყვანე» «გენაცვალე», «დამავალე», არამედ — „მე მსურს“, „მიეცი ჩემ გამოგზავნილ კაცს“ „აასრულე უთუოთ“, «უდავიდარაბოთ», «ასე განვიზრახე».

ლაჩარი.

ლაჩრობა არის შიშის ამყოლი სულის დაჩაგრული მდგომარეობაა

ზღვაზე ლაჩარს კონცხები ეჩვენება მეკობრეების გემებად; ატყდა ზღვის ფრთონვა, — იგი წუხს და ფათურობს, ხომ არავინ არის პასაჟირებ შორის შემცოდეო. იგი ცას უყურებს და ეკითხება მეპრორეს: მოშორდება თუ არა იგი ჯერ ნაპირს და ან ტაროსს როგორ ატყობო. იგი უამბობს თავისს მეზობელს — ცუდი სიზმარი ვნახეო; გაიძრობს თავისს მოკლე კურტაკს, აძლევს მონას და თხოვს, თუ გემთმუსვრა მოხდეს, ხმელეთზე გამიტანეო. ბრძოლის წინ ის შამოაგროვებს საჩხუბრათ გამზადებულ

ამხანაგებს და ურჩევს წინდაწინვე ფთხილათ უნდა მოიქცეთო. ძნელიაო, ამბობს ის, მტრის გარჩევა თავისიანისაგან. კიჟინის ხმა ესმის; მისის თვალით ხედავს, როგორ ცვივიან მომაკვდავები. იგი თავს იმართლებს მაყურებლებთან იმითი, რომ საჩქაროთ ხრმლის წამოღება დამავიწყდაო, შეიბღუძნება კარავში, გამოდენის იქითგან მონას, — უბრძანებს აათვალთვალოს მტრები სად არიანო; შემალავს ბალიშს ქვეშ საჭურველს, მერე დიდხანს არ გამოდის, მითომ და იმას დაეძებს კარავში. იგი ხედავს, მისი მეგობარი დაჭრილი მიყავთ, მიირბენს მასთან, გაამხნევებს მას და ზურგზე მოდებული შველის სხვებს, იმის წამოღებაში. იგი ულოლიავებს მას, ღრუბლით პირზე სისხლს უწმენდავს, გვერდით ჯდება, ბუზებს უგერებს ჭრილობაზე, — მტერთან შებმას ამისთანა წვრილმანების ქმნა ურჩევნია. დაუკრა მებუკემ საომარი ნიშანი, — იგი კარავში ზის და ბურდღულობს: „ი ეშმაკმა წაიღოს შემი თავი! მოგვდგომია და ჩამოგჯღავის; არ იქნება, მოსვეწება მისცეს მშვიდობიან ხალხს“... მთლათ დასვრილი სხვისის ჭრილობის სისხლით, იგი მამაცათ გა-

მოდის ბრძოლითგან დაბრუნებულთა შესახვედრათ და ამბობს: „ძლივს არ გადავარჩინე ჩემი მეგობარი; მაგრამ კინაღამ თანი წავაგე“. მოყავს დაჭრილის სანახავათ დემოტებით და ფილეტები 36) და თვითეულს მათგანს ჩაჩურჩულებს ყურში, რომ მან იგი თავის საკუთარის ხელით მოიტანა კარავში.

46

დიდკაცი (არისტოკრატი)

მედიდკაცობა არის შედეგი დაშინებულის სურვილისა, რომ თავისს ხელში შემოიბოჭოს ქვეყნის (რესპუბლიკის) მართვა. ხალხს უნდა გაგზავნოს არქონტის 37) საშველათ მხოლოდ რამდენიმე კაცი, — დიდკაცს სარჩელი შეაქვს: საჭიროა გამოამზადონ საელჩო, — წინადადება შეაქვს, რო მათ განუსაზღვრელი უფლება მიენიჭოსო. ირჩევენ ათს ახალ სარდალს, იგი ეურჩება: «ერთიც კმარა, ოღონდ ღირსეული კაცი იყოსო». გომერის პოემითგან მან მხოლოდ ერთი ლექსი იცის; „მრავალმთავრობა ცუდია; ხამს ერთი იყოს უფალი“... დანარჩენი არაფრათ ენუკება... — «შევჭიდროვდეთ ერთათ, მიქარვები გაუშვათ, ბაზრის ჩათლახებთან საზიარო ნურა გვინდა რა. მაღალ თანამდებობათა ნუ ვეპოტინებით». — ესაა მისი ჩვეულებრივი ღაღადება. «ორში ერთი, ან თქვენ უჩდა მოურაობდეთ დედა-ქალაქში, ან ჩვენ», — პასუხად იძლევა ის, გამწვიტინებული ბრბოსაგან აქა-იქ გამოტყორცნილ დაცინვასა და შეურაცხებაზე. შუადღეა. გადიგდებს მოსასხამის კალთას მხარზე, ქოჩორ მოპარსული და გულსმოდგინეთ ფრჩხილებ დაკვეცილი, გამოდის თავისის ბინითგან; დაყვება ოდეონისკენ მიმავალ ქუჩას და გაცხარებული იმდურება, იგინება, ჯავრობს:

47

„ამ მაჩივარაებისაგან კაცს ქალაქში აღარ ედგომება“, «ეს ჩვენი მსაჯულები რომ საქმეს სჯიან, არ გაგონილა?» „ვერ გამიგია, რას გამოელიან ეს საზოგადო თანამდებობათა მაძიებლები.“ „განა შავხალხი ნასიკეთვარს დაიხსომესს; ვინც ფულს აყრის ცხვირპირში, ვისაც მეტი ფული აქვს, — აი იმისი ყურმოჭრილი მონა ხდება იგი“. თითქო ნემსზე იჯდეს, ისე მიაჩნია, როცა საერო კრებაზე მას (დიდკაცს) გვერდით მოუჯდება ვინცაღა, მუნიანი და დაფლეთილი სალახანა. „ერთი სიტყვით აღარავართ ამ ლიტურღიებისა და ტრიერარხიებისაგან! როდის

იქნება მათგან მოვისვენოთ?“.. ყაყანობს და სულ ამას გიძახის. დემაგოგები 38) მისთვის გველის წიწილები არიან. მამულის უბედურებაებში, იგი ბრალს დებს უფრო თეზეოსს 39). მან ოთხი თემი გააერთიანა. მეფის ხარისხი მოსპო და მართველობა დაბიონს მიანდოო, მაგრამ ახათ მოუვიდა მას, რაც მოუვიდა; მაზედ პირველზედ შეისვარაო მან ხელი. — ასეთია დაახლოებით მისი სალაპარაკო საგნები უცხოელებთან და მისთ თანამოაზრე მოქალაქეებს და მოაზრეებთან.

ბ ე რ-ჭ ა ბ უ კ ა.

ბერ-ჭაბუკა ისაა, ვინც ყმაწვილობს თავისის ხანისდა შეუფერებლათ.

48

აგერ სამოცმა წელიწადმა ჩაურახუნა და ახლა კბილავს ნაწყვეტებს პოეტებითგან; სმა-ქეიფობის დროს კითხულობს მათ, თუმცა მეხსიერება ღალატობს. თავისს ვაჟს უ კანანახებს: «მარჯენით! მარცხნით! ირგვლივ“. ღერმის 43) დღესასწაულობაზე, იგი ყმაწვილებს აყოლია, მათსავით იხარჯება, ხელ-ჟინჟღილიანი გასწრებ-გაქცევაში ერევა. გერაკლის ტაძრისკენ რო დაუძახონ, — იგი გადისვრის მოსასხამს
და ხარს რქებში წაავლებს ხელს, რათა კისერი გადუგრიხოს. ჩვეულებისამებრ პალესტრაშიაც კი შედის, ოღონდ იჭიდაოს. თეატრში ერთ და იგივე პიესას სამ-ოთხჯერ დაესწრება, სიმღერებსაც კი სწავლობს. — საბაზიას საიდუმლო რომ გამოუცხადონ, — იგი ცდილობს მოხიბლოს ქურუმი თავისის თავაზიანობით. იგი ეკურკურება სხვისს ხასას, ეჯახუნება მის კარებს, გატყეპავს მას მეტოქე და ახლა გააბამს საჩივარს. იგი მიდის ქალაქს გარეთ სხვისი ცხენით, უნდა მხედრობა და სიკისკასე გამოიჩინოს; გადმოეშვება ყირამალა და ახლა თავპირზე უნდა ოშოშა იდოს. თავისის ბალღის სახელის დღეობისას, იგი მესალამურე ქალებიანათ შეყრის სტუმრებს (საერთო კონცერტისათვის). იგი ძალას ატანს თავისს ბაღნებს, იჭიდაონ და ირბინონ გასწრებიაში, სანამ სრულიად არ დაიქანცებიან. მონა რო უყურებდეს, ისე ფარიკაობის საძრავებს უკეთებს უშველებელ აღალმას, გაეჯიბრება ხოლმე მშვილდოსნობასა და

ლახვრის ცემაში თავი ის შვილების აღმზრდელს და წინადადებას აძლევს — „მე შენი მასწავლებელი უნდა გავხდეო, რდგან შენ არა იცი-რაო“. გიმნასტიკას შემდეგ იგი წამდაუწუმ იწკუმპლება აბანოში, ფილოსოფოსობას ჩემობს, ქალების საზოგადოებაში — საცეკვარს სტვენს და ცეკვავს, ბუქნაობს.

ავყია (მქირდავი).

ავყიაობა ყოლაფრის ცუდად მოხსენების ჟინია.

ავყიას კითხე: «ეს ვინაათქო?» ის მოყვება. „მშობლებითგან დავიწყებო. მაგის მამას ქვიოდა სოზიოსი; სალდათობაში გადიქცა სეზოსტრატედ, დემოტებში ჩაწერის შემდეგ — სოზიდემოსად. დედა მაგისი კი დიდი კაცის ქალია — თრაკიელი, კრინოკორატი, უმანკო სულია. ამისთანა ქალებს მის სამშობლოში თურმე „კეთილშობილებს“ ეძახიან. თითონ ეს კაცი დიდი მამა ძაღლია; „დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახე“... ««ნუ მაბრიყვებ, რა შვილიცა ბძანდები მე ვიცი», ეუბნება და განაგძობს ლაპარაკს იმ ქალებზე, გამვლელ გამომვლელებს რომ ხელს უქნევენ: აი ის სახლი, საცა მაგისთანები ცხოვრობენ... ტაშტი გატყდა, ხმა გავარდაო. რომ ერთმანერთს აგინებდენ, — ავყია იქაც ჩაუმატებს თავისას: „არავინ ისე არ მძაგს, როგორც ეს კაცი: ჯერ ცხვირ პირი გაუშინჯე, რას უგავს

ახლა მისი სიფლიდე ნახე, — ცოლი შეირთო, მაგალითად, უშველებელ მზითებიანი, შვილიც აყოლა და სახარჯოთ აძლევს დღეში სამს ხალკას 41); პასიდონის 49) დღეობისათვის ცივ წყალში აბანებს ხოლმე“. ავყია ზის ვთქოთ საზოგადოებაში; რო გავა ვინმე, — იგი გამართავს მათზე საუბარს და თუ ერთი თავი მოხსნა, — სულ გამოლანძღავს თავისს ნათესავებსაც, კვდრებსაც კი არ აყენებს; მეგობრებს და ნაცნობებს ხომ მეტი ხვდებათ მისგან. რომ გააშაოს პარრეზია 43), დემოკრატობა და თავისუფლება — ეს არის მისი უდიდესი ბედნიერება ცხოვრებაში. ასე უმღვრევს კაცს ტვინს; სელს უშლის სამართლიანათ განსაზროს რამე; — მისი მისწრაფება ისაა, რომ ზნეობის მოძღვრად ხადოდენ.

მეგლეხურა.

გატაცებით შავ-ხალხის მოყვარულობა — ზნე-დაცემულობისადმი შეუგნებელის მიდრეკილების შედეგი.

მეგლეხურა დაუახლოვდება ხოლმე ისეთ პირებს, რომელთაც საქმე წაუგიათ სამსჯავროსა ან საერო კრებაში. — მათი ნაცნობობა, მას გონია, გამოცდილებას და ხელშეუვალობას შემძენსო. — „წმინდა წყლისანი არც ის ჩვენი ვაჟბატონები გახლავან“, იტყვის ხოლმე ის პატიოსან კაცებზე და დასძენს: «პატიოსანი კაცები სადღა არიან? ერთი

შეწვი, მეორე შესცხეო.“ პატიოსან კაცებს იგი ტალახში სვრის, ფლიდი-კი ცამდე აყავს. გინდა შენ საძაგლის გაიძვერობა გამოაქვეყნო, — იგი გთანხმდება, რო მაზედ გავრცელებულს ხმებში არის კი ცოტაოდენი სიმართღე, მაგრამ მას მისი სიტყვით ისეთი ღირსებები აქვს, რომ არ იციან. სხვებს რომ გონიათ, ის ისე ბრიყვი არ არის, საუცხოვო ამხანაგიაო, გაჭივრების ტალკვესიაო, და გაცხარებული გაჯერებსთ, ვითომც იმისთანა კაცი ქვეყნის ძირზე აღარ მოიპოვებოდეს. ეს იცავს იმ ფლიდს საერო კრებაზე, სამჯავროშიაც და ურჩევს მაყურებლებს: კაცს რათ უყურებთ, თქვენ მისი ნასაქმი გასინჯეთო. იგი მეუბნება ეს, ხალხისათვის ნამდვილი ძაღლიაო. უყარაულებს მას და მისს შეურაცხმყოფელებს უფრთხობს.“ იმისთანა ძვირფასს კაცს, თუ აღარ დააფასებთ, — ათავებს ის, — ჩვენ აღარ გვეყოლება ხალხის სანუკველთათვის (ინტერესების) მებრძოლნი». მისი მარწმუნებლები სულ საეჭვო პირები არიან; იგი მონაწილეა სამსჯავროს ხრიკებში; როცა ვექილადაა — მოპირისპირეების სიტყვებს უკუღმართად ხსნის.

საზოგადოდ, შავ ხალხის ლაციცი არის ზნეობითი სიწამხდრის ღვიძლი ძმა. ტყუილათ არ ამბობს ანდაზა: «მსგავსი მსგავსსა თანა განისვენებსო».

ჩარჩი.

ჩარჩობა არის საქმეში გამოჩენილი საზიღარი მისწრაფება მოხვეჭისადმი.

ნადიმის დროს ჩარჩი უბრძანებს მონებს — პური ჭიჭოთ მოგვართვითო. მისას რო მისი ნაცნობი ჩამოხტეს, იგი სესხად ფულს გამოართმევს; საჭმელებს კერძ-კერძად აჭმეეინებს; მოაგონებსთ,

რო მას, როგორც განმკარგველს ერთი ორად
კერძი ერგება და მაშინვე წამოავლებს ხელს.
ღვინოს ვაჭრობს, — გულითადს მეგობარსაც კი
წყალ-გაურეველს არ მიყიდის. თეატრში მხოლოდ
მაშინ წავა შვილებიანათ, როცა ზედამხედველები
მაყურებლებს მუქთათ უშვებენ შიგ. ვთქოთ,
სხვაგან მიდის ხაზინის ხარჯზე, — ფეხის ქირას შინ
ტოვებს და თანამგზავრებს ესესხება. მონას რო
გაიყოლებს, წელსაწყვეტათ დასტვირთავს; აჭმევს,
ასმევს სხვებზედ უარესათ. საელჩოს საჩუქრისაგან
იგი თავისს წილს გამოითხოვს და ფულათ გაყიდის.
აბანოში რომ საცხებელს ისომს, მონას ეუბნება:
„შენ, ჩემო ძამიავ მყრალი ზეთი გიყიდია ჩემთვის“, —
გადაწვდება სხვისს ზეთს და ისობს. მისმა მონამ
რომ ქუჩაზე ორი გროში იპოვოს, — იგი მას თავისს
წილს მოთხოვს დვ ეტყვის: ერთათ მოვდიოდით,
ნაპოვნი შუაზე უნდა გავიყოთო. თავისი გიმატია
რომ გასარეცხათ მიცეს, — იგი სხვისას ჩაიცომს

და რამდენსამე დღეს გაატარებს, სანამ უკანვე არ მო-
თხოვენ და მისთანები. შინაურებს ფქვილს მიუწყავს
ხოლმე ჟიდომირის 44), ფსკერ-გამოღრანულ საწ-
ყაოთი და ამასთანავე გულს მოდგინეთ ხელს
გადუსობს და გამოფხეკს ხოლმე. ყიდის მისი
მეგობარი საჭიროების გამო თავის ნივთებს ნა-
ხევარ ფასად. — იგი ჩუმათ იყიდის მათ და მერე
მოგებrთ გაასაღებს ხოლმე. ვალს რომ იხდის,
ვთქოთ, ოცდაათ მინს ოთხს დრაკანს მაინც შე-
იწევს. მისს შვილებს მთელს თთვეს სკოლაში არ
უვლიათ ავათმყოფობისა გამო, — იგი სასკოლო
გადასახადისაგან ამის შესაბამად გამოაკლებს; ან-
ტესტერიონის 45) თვეში კი სრულიადაც აღარ
გზავნის შვილებს სამაცადინოთ. — ამ თვეში
ბევრი უქმე დღეა და ტყუილათ ფელი რათა
ვიხადოო. მიიღო, ვთქოთ მონისაგან ერთი ხალკი
საურად 46) იმისა, რომ სამუშაოთ გაუშვა, —
იგი ერთ ხალკს კიდევ დასცინცლავს (მეკერმესთან
დასახურდავებელიაო; მონისაგან საურს სხვილ
ფულად იღებს); ამასვე ჩადის, როცა მოურავს
ანგარიშს უწმენდს. აკეთებს, ვთქოთ, სადილს
თავისის ფრატრიის წევრთათვის, — იგი საერთო
ტაბლითგან საჭმელებით გამოკვებს თავისს მო-
ნებსაც; ჩაიწერს, რამდენი დარჩა სადილითგან ბო-
ლოკის ნაჭრები; ამას მერე მეტ-ნაკლებათ გაუ-
ყოფს თავისს დედა-წულებს. მიდის ქალაქს გარეთ

ნაცნობებიანათ, — იგი მათს მონებს იმსახურებს, თავისს ქირაზე გზავნის, მაგრამ ნაშოვნი ქირა საერთო კასაში არ შეაქვს. ვთქოთ მისს სახლში საწილადო ფულით ნადიმი გამართეს, იგი განზე გადამალავს ცოტა რამ მოტანილ შეშის, ოსპის, ძმრის, მარილის და სალამპრე ზეთისგან. ვთქოთ მისმა მეგობარმა ცოლი შეირთო, ან ქალიშვილი გაათხოვა, — იგი ადრიანათ სხვაგან გაემართება; თავ-გადასაგდები დამჭირდებაო ახალდაქორწილებულ-თათვის. მეზობლისგან ინათხოვრებს ხოლმე იმის-თანა ნივთებს, რომელსაც უკან არ მოთხოვენ, იცის, ან ესინდისებათ მიაკითხონ.

შესწავეანი.

1. რეღენტი — სახელმწიფოს მმართველი მემკვი-დრის მცირე წლოვანობსა გამო, ანუ მისის ჭკუანაკლებობის გამო.
2. წინაჰაღმდეგ კომიკების ჩვეულებისა.
3. სტოა – ბოძებზე დამყარებული, უკედლო დიდი შენობაა, სადაც იკრიბებოდენ ერთგვარის მი-მართულების ფილოსოფოსები და მოწაფიები, რომელთაც ამ შენობის სახელი სტოიკები დარქვათ. ისინი ასწავლიდენ სასტიკ ზნე-ობას და შეურყეველ სიმტკიცეს გაჭირვე-ბაში.
4. საქულბაქო – ძველი ქართული სიტყვაა, შე-ცვლილი მდაბიოთაგან უცხო სიტყვებზე: ბა-ზარი, იარმარკა, იგივე სავაჭრო მოედანი, სა-ფარდულო.
5. ბიუსტი – ქანდაკი, რომელიც წარმოგვიდგენს მარტო წელზევითს გამოსახულებას ადამიანისას, ხელებს გარდა.
6. დიონისობა – ანუ აპატურია – სამის დღის დღე-სასწაულობა ბახუსის (ღვინის და ლხინის ღმერ-თის) სადიდებლათ, ძველ ათინაში.
7. მისტერია – საიდუმლო, სარწმუნოებითი წე-სი; შუა საუკუნოებში ეძახდნენ სასულიერო შინაარსის თეატრალურსს წარმოდგენებს.

8. ოდეონი – საჯარო დიდი შენობაა მესაკრავე-თა და პოეტთა საპაექროოთ (საჯიბრებლათ)

9. ბოედრომიონი, პიანეპსიონი – საჯარო ადგილების სახელებია; აგრეთვე პასიდეონიც.
10. აგონალიები – თამაშობა-ვარჯიშობანი იანუს ღმერთის საპატიოდ, ან რომელისამე თავგადასავალის სახსოვრათ. ეს დღესწაული დააწესა ნუმა პომპილემ.
11. საფარდულო – ბაზარი, იარმარკა.
12. დრაკანი ედარება 24 კაპეიკს, აბოლი – 4-ს.
13. პალესტრა – საგიმნასტიკო ადგილი.
14. პედოტრიტი – ბავშების, მოსწავლეების თავმდგმური.
15. არქონტი – ათინაში უზენაესი რესპუბლიკის მართველი.
16. პრიტანეა – მოედანი ათინაში საპოლიტიკო კამათობისთვის, სალაყბო.
17. გიმატია – კლოკვი, გრძელი მოსასხამი, საგარეო, საპატიო პირთათვის.
18. არტემიდა, ანუ დიანა – იუპიტერის ლატონას ასული, ქალ-ღმერთი ნადირობის, მთვარის, ღამის... მფარველი ქალწულობისა.
19. ტმინა, მაიორანა – სურნელ-ყვავილებისგან ნელაცხებელი.
20. პაროლი – ომის დროს სამალავი ნიშან-სიტყვა თაეისიანების მტერთაგან გასარჩევათ.

21. მუნასიბი – მოუმზადებელის და დაუსწავლელის წარმოთქმა.
22. კრუჟკების დღესასწაულობა.
23. საბაზო – ღმერთი.
24. გეკატა – ტარტაროზს ასული, ჯადოსნობის ღმერთი.
25. ათინა ქალ-ღმერთი, ქალაქ ათინის მფარველი, მეცნიერების და ხელოვნების შემწევნელი.
26. გერმაფროდიტი – აკუმი, ორ სქესოვანი ცხოველი, გინა მცენარე; ღმერთი მერკური.
27. ორფიკური – საიდუმლო – სარწმუნოებრივ-მისტიკური წესების შესრულება-სიმღერა გალობითა მისთვის დანიშნულ პოეტებისგან, რომელთაც ორფიკებს ეძახდენ.
27. კონსტერიანი
28. სფეროსტერიანი სფეროსებრი, ბურთებური.
29. სოფისტი — ფილოსოფოსები, რომელნიც ასწავლიდენ ხელოვნებას ყოლაფერბაასობისას ხან ასე, ხან ისე, როგორც უფრო სასარგებლო იყო მობაასისათვის. ცნობილია ერთი მიმოდასკვნასაო. ხენჯით და სოფისტების გასაკიცხათ წარმოთქმელ პურიკლესაგან: ჩემი პაწაწა ყმა-

წვილი ქვეყნის მპყრობელიაო. რანაირათო რომ კითხეს, მან თქვა: მე ვმართავ საბერძნეთს, საბერძნეთი უფლებს მთელ ქვეყანას, ჩემზე გავლენა აქვს ჩემ ცოლს. ჩემი ცოლი ასრუ-

ლებს ჩემის შვილის მოთხოვნილებას; მაშასადამეო, დაასკვნა მან, ჩემი შვილი ქვეყნის ბძანებელიო...

30. ფეხმეისტერი – ფარიკაობის მასწავლებელი.
31. ესყურაპი – მკურალობის ღმერთი, ქურუმი – ა[1] კლეპია.
32. ტრიბონი – ხელსახოცი.
33. ტალანტი – ფული, ვერცხლის ტალანტი უდრის 1500 მან. ოქროსი 20,000 მან.
34. მინი – წვრილი ფული.
35. ტრიერარხი – სამთმთავრობა, სამის მმართველობა.
36. ფილეტები – მოციქულთ დროებისა ერეტიკოსი, უარმყოფელი სხეულთ აღდგომისა და მგმობელი მოციქულთ სწავლისა. ფილეტანები, მიმდევნი ერეტიკოსთა იმნეოსის და ფილეტისა, რომლებიც ამტკიცებდენ, რო მკდართა აღდგომა უკვე იყოო.
37. არქონტები – ათინის მართველები კოდრეს სიკვდილ შემდეგ, რესპუბლიკის გამგენი.
38. დემაგოგი – ხალხის დასის წინამძღომელი, მოჯანღე.
39. თეზეოსი – ერთი უდიდებულეს გმირთაგანია ძველ-ბერძნულ მითოოლოღიისა, ძე ათინის მეფის ეგეოსისა.
40. ჰერმესი – ბერძნული სახელია მერკურის. მას

თვლიდენ გამომგონად იეროგლიფჟბისა, წერისა, მეცნნიერების და ხელოვნებისა; მასვე ამისებდენ, მრავალ წმინდა წიგნებს, ჰერმესულად წოდებულს.

41. ხალკა – წვრილი ფულია.
42. პოსიდონი – ნეპტუნი, იუპიტერის ძმა, ღმერთი ზღვებისა.
43. პარრეზია – თავხედობა, ყადავახი ლაპარაკში.
44. ჟიდომირი – ურიების ქვეყანა.
45. ანტესტერიონი – სახელწოდებაა ატიკურის თვისა, შუა ფებერვლითგან შუა მარტამდე ჩათვლით.
46. საური – გადასახადი, რომელიც მართებდა

ყმას ბატონისა, ფულად.